“სპარტაკი” (მინსკი) – “დინამო” (თბილისი)

მინსკი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

29 ივლისს “დინამოს” რესპუბლიკურ სტადიონზე მინსკის “სპარტაკმა” მიიღო თბილისის “დინამო”. დაიწყო თუ არა თამაში, სპარტაკელებმა მწვავედ შეუტიეს და უკვე პირველ წუთზე გახსნეს ანგარიში. თბილისელებმა საპასუხო იერიშები განავითარეს და მე–20 წუთზე გაიტანეს ბურთი – 1:1.

მალე “სპარტაკის” თავდამსხმელებმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და ზუსტი დარტყმის შემდეგ “დინამოს” კარში მეორე ბურთი იქნა გატანილი. თამაშის პირველ ნახევარში ანგარიში არ შეცვლილა.

მეორე ტაიმის დასაწყისში დინამოელებმა კვლავ გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ შემდგომში ინიციატივა ხელთ აიღეს მინსკელებმა და მატჩის დასასრულამდე შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა.

თამაში დამთავრდა მისნკის “სპარტაკის” გამარჯვებით, ანგარიშით – 3:2.

“ლელო”, 1.07.1954